№ 19.—1914 ქვირა, 13 ივლისი.

პირველი ლოტბარი ქალი სიმფონიურ ორკესტრისა

ევა ბრიუნელლი

№ 19

შინაარსი:

1) შემოქმედობის ნაირფეროვანობა, მეთაური 1
2) ქართული პლასტიკური ხელოვნება,—რა უნდა ვქნათ? მოსე თოიძისა 2
3) ბედის ვარსკვლავს, მთის ნიავისა 4
4) ობოლს, და ჩიანდელისა „
5) ენახე საფლავი (ალ. წულუკიძის ხსოვნას), იდ. ბახტაძისა 5
6) თავ. ალექ. სუმბათაშვილი-იუჟინი, ტიტე ტაბიძისა „
7) დედას, ცვარ-ნამისა 7
9) ახალი ფრაკი (ბერანჟედან) იდ. ჩხერამელისშარე დისა 8
10) დედინაცვალი, დრ. 3 მოქ. ტრ. რამაშვილისა 9
11) ბრძოლის ველი, ი. ჯიანიშვილისა 11
12) ვინ დაარსა თბ. მუს. სასწავლებელი, ზ. ჩხეიძისა 12
13) სათეატრო მიმოხილვა: ა) დ. ხაშურის თეატრი, ნიკო გურუდისა; ბ) ლანჩხუთის თეატრი, თეზეოსი 14
14) წვრილი ამბები 15
15) განცხადებანი

თბილისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს თეატრთან მოაწყოს საცალოდ ხელმძღვანელობით

სამეცხადინო პრაქტიკული სწავლა

ამიტომ იგი იწვევს ქალთა და ვაჟთა, რომელთაც ქართული სცენაზე მუშაობის სურვილი აქვთ, ჩაწერონენ ამ თანგითვე გამგეობის კონტორაში. ჩაწერის ვადა დანიშნულია განცხადების დღიდან პირველ სექტემბრამდე **სწავლა უფასო იქნება.** პირობების გაგება შეიძლება კონტორაში დღისით 1—3 საათამდე.

წერილობითი განცხადება ჩვენებით წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ. მისამართის: კონტორაში.

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ **შექსპირის** რვა ტრაგედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი შემოსატანი**—1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს**—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმოწერა შეიღება **თბილისში:** ქართვ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**

№ 19

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრ. საზ. კანტორაში და „სორაპან"-ს სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Грузинскій Театръ, ред. „Театри да Цховреба" Іос. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-95, სტამბისა — 15-41.

№ 19 ᲙᲕᲘᲠᲐ 13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1914 წ.

13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

შემოქმედობის ნაირფეროვანობა

თეატრი მაშინ მესარკეობს, როდესაც ადამიანთა ხასიათების უუწვლილადეს ნიშან-თვისებათ სრულის სინამდვილით გარდაგვიშლის.

სხვადასხვა წოდება-მდგომარეობის ადამიანები რომ ერთურთს არა გვანან ხმით, მიხვრა-მოხვრით, რონინით, იერით, ღიმილ-გამოხედვით და მთქნარება-სუნთქვითაც-კი, ეს არც ერთი დაკვირვებულ კაცისთვის დაფარული არ არის. ამ სხვადასხვაობის გამომსახავი-კი სცენაზე მსახიობია, სათეატრო ხელოვნების ერთი მთავარ ღერძთაგანი... ხოლო როდესაც მსახიობი ნაკისრ როლის სულხორცს ვერ შეასხავს და სულით განსპეტაკებულ, ხმა-რონინით მოთვინიერებულ, გონებით არისტოკრატის როლის აღსრულების დროს მოუხეშავ-შეუფერებელ ხმით, უმსგავსი მიხვრა-მოხვრით წარმოგვიდგება, იგი სინამდვილის იგივეობას ვერ ჰქმნის; ასეთი მსახიობი თვით განცდა-შეგნებას დაშორებულია და იგი მხოლოდ უბრალო ხელოსანია...

ჩვენის დროის მართებულ თეატრს ცხოვრებას დაუახლოვებს მხოლოდ შემომქმედი მსახიობი, ისეთი, რომელიც ყველანაირს როლს თვით ღრმად შეიცნობს, განიცდის, თვისს სულ-გულში გამოჰქნ-გამოაქანდაკებს და ისე წარუდგენს მსმენელ-მაყურებელს და არა ის, რომელსაც თვითონაც რიგიანად ვერ შეუგვნია როლი და მხოლოდ თუთიყუშურად წამოიძახებს მოკარნახისაგან ჩაძახილს. ამ შემთხვევაში მსახიობი უბრალო ქვევრია და მეტი არაფერი.

განა ცოტაა იმის მაგალითი ჩვენის თეატრის ცხოვრებაში, რომ ხშირად წარმოდგენის „ჩაფლავება" მსახიობთ მოკარნახისთვის გადებრალებინოთ, ან და ფარდის ახდის წინ ციებ-ცხელებას შეეპყროს ესა თუ ის მსახიობი—»შენი ჭირიმე, ბეგლარ, აბა მარჯვედ მომაწოდე სიტყვებიო". და ხშირად, ძლიერ ხშირად როლის კილოს (ტონის) მიმცემი თვით მოკარნახე, პატარა ყუთში ჩამჯდარი სუფლიორი არის ხოლმე... რამდენჯერ შევსწრებივართ, რომ გაბეზრებულ საზოგადოებას უყვირნია მოკარნახისათვის: „სუფ-ლიორო, ჩუმად", ხოლო მსახიობთაგან მოკარნახის ყუთისკენ მიმართვა-მუდარა—»ხმა მაღლა".

მსახიობმა, რომელმაც თავისი სათქმელი სიტყვებიც კი არ იცის, თვითონ რა უნდა განიცადოს, ან სხვას რა უნდა განაცდევინოს?!

ასეთს მსახიობს შემოქმედობის უქონლობას კი არა, ჩვენი რეცენზენტები—როლის ეკლოდინარობას უსაყვედურებენ ხოლმე—ერთი ყური და თვალი სუფლიორისკენ ექირაო.

განა ამაზე მეტად-ღა შეიძლება მელპომენის ტაძრისა და მსმენელი საზოგადოების აბუჩად აღება, როდესაც მსახიობს თავისი ელემენტარული მოვალეობა-დანიშნულებაც კი ვერ შეუგვნია...

და აკი არა ერთი და ორი შეუსაბამობა გვსმენია სცენიდან თვით პირველხარისხოვან მსახიობთაგანაც კი...

მათვე ბაძვენ ყველაფერში მოზარდნი: უზრუნველობა, როლის შეუგნებლობა, მხოლოდ სუფლიორის იმედზე ყოფნა,—აი რითი ხასიათდება მათი უმეტესობა... ყველა

ჯურისა და ხელობის მოხელე – ხელოსანმა კარგად იცის, რომ თუ იგი წმინდათ და რიგიანად არ ასრულებს თავის მოვალეობას, თავის თანამდებობაზე დიდხანს არ გააჩერებენ, ხოლო ჩვენი მსახიობისთვის თითქო ეს წესი არ არსებობდეს: ჩვენ ჯერ კიდევ „სხვათა შორისი“ მსახიობნი გვყვანან, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მათგანი მხოლოდ ამ ხელობით ირჩენს თავს...

პსიხოლოგიური განცდა, ადამიანის შინაგან ლტოლვა-ღელვის გამომზეურება, უსიტყვოდ თამაში, — თითქო არ არსებობდეს ჩვენის მსახიობთა უშეტესობისათვის ..

არიან, რასაკვირველია, თითო-ოროლანი ღვთიერის ნიჭით ცხებულნი, რომელნიც ალღოთი ჰქმნიან ამა თუ იმ ხატების, მაგრამ, ვიშეორებ, თითო-ოროლანი თანამედროვე თეატრს ვერ შექმნიან. .

საკმარისია ქართველი მსახიობი ერთი ორ-ჯელ ნახოთ როლში, რომ შემდეგ რანაირი ტანისამოსი და გრიმიც უნდა გაიკეთოს, ერთი ფეხ გადადგას, პირი გააღოს, ხმა ამოიღოს, მაინც იცნოთ ..

თქვენს წინაშე ვინმე გრაფის, ბარონის, ყარაჩოღელის, ქართლ-კახელი თუ იმერელი გლეხის ანუ პარიზელი დონ-ჟუანის და სხვ. გამსახიერებელი კი არა დგას, არამედ X ანუ Y, მუდამ ერთი და ივივე ხასიათით, მიხვრა-მოხვრა ხმით, — სხვადასხვა ტანისამოსში.

ჩვენ ვთხოულობთ, სცენაზე გზა მიეცეს მხოლოდ თვითშემომქმედს, რასაკვირველია, მთელი პიესის აგებულებასთან შექსოვილს ხელოვან მსახიობს, რომ **ყოველ როლში** ის **ერთფეროვანი** კი არა, **ნაირფეროვანი** იყოს, ისეთი, რომ იგი **მსახიობ-პიროვნებას** კი არ წარმოადგენდეს, არამედ **შემომქმედ-ხატებას** — ნაკისრ როლის სახიერებას.

ამიტომ სიამოვნებით აღვნიშნავთ თბ. დრამ საზ ის ნაბიჯს, რომელსაც განუზრახავს ქართულ თეატრთან მოაწყოს სამეცადინო პრაქტიკული სტუდია მცოდნე პირთა დახმარებით სცენაზე მომუშავე-თანამშრომელთა მოსამზადებლად და ახალი სახის მსახიობის შესაქმნელად.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დაწყებულება შესაფერ ნაყოფს გამოიღებს: საჭირო ინტელიგენტი ძალნი საკმაოდ გამოჩნდებიან, საჭიროა მხოლოდ სასურველ პირობებში ჩაყენონ იგინი და საქმეს ბეჯითად შეუდგნენ...

ქართულ-მშობლიურ გამოთქმის შექმნა, ხმის მოთვინიერება სასცენოდ, მიხვრა-მოხვრა-რონინის განვითარება, ფარიკობის შესწავლა, უსიტყვო სცენების განცდა გასულდგმულება, ცეკვა, სიმღერა და სხ. მრავალი ასეთი სჭირია დღეს ჩვენს სცენას.

და თუ იმდენს ეცდებიან მომავალ სეზონისთვის მოკარნახის ხმას სრულიად თუ არ დაახშობენ, ძალზე შეასუსტონ მაინც, მსმენელთ ყურს მსახიობის სიტყვაზე უმალ უხილავი მოკარნახის ხმა არ სჩხვლეტდეს, — ამას ხომ არა ემჯობინება-რა!

მხნედ და არც ერთი ეს ძნელი შესასრულებელი არ არის...

ქართული პლასტიკური ხელოვნება

(გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 15)

რა უნდა ვქნათ?

რაც უნდა ძალიან გვხიბლავდეს სხვა ერის სახელი და დიდება, მაინც მიმუნურად არ უნდა ვბაძავდეთ. ზედაპირული მიბაძვით შეიძლება დროებით პატივიც მოვიპოვოთ, მაგრამ იმ დროს ჩვენ საკუთარ ბუნების თავისებურობის ღირსებას ვანადგურებთ.

ეს ისე საშინელი არ არის, თუ დროით მაინც მოასწრო კაცმა ამის შენიშვნა, მოიკრიფა ძალ-ღონე და გაბედულ სულგრძელობით მიატოვა უმნიშვნელო თავმოყვარეობა, შეუდგა მომავალ თაობისათვის მაინც მტკიცე ნიადაგის მომზადებას. საშინელებაა, როცა შეუმჩნეველად, ვით ყინვით დაძრულს, ეპარება თვითკმაყოფილება. იგი არის უკურნებელი გადაგვარება რა უნდა ქმნას მან, ვინც მთელი ერის აყვავებაზე ზრუნავს და კარგად აქვს შეგნებული ისიც, რომ ერის აყვავება შეიძლება სისტემატიურის, რამდენიმე თაობის შეუწყვეტელი წინსვლა-განვითარებით?

(ფანქარით ნახატი ს. ვალიშევსკისა)

კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი

ამ ჟამად პატარა-ცემშია საგარაკოდ და ქართველ მუსიკოსთა შესახებ მასალებს აგროვებს თვისი ახალი შრომისთვის.

მან უნდა გამოსძებნოს, გააღვიოს და მტკიცედ შეაერთოს სამი თვისება ერისა: **ძალა, რწმენა** და **თვითშემოქმედება.**

ა) სად არის **ძალა** ქართველი ერისა? იგი არის იქ, იმ ქართველ ერის ნაწილში, რომელიც საშინელ პოლიტიკურ ქარტეხილის დროს ეროვნულ ღირსებათა გადალახვის საწინააღმდეგოდ ჰქმნიდა ოთარაანთ ქვრივებს, გამოჰყვანდა თავისუფლების დამცველი გმირები, ვით არსენა, კაკო და სხვანი. ძალაა იმ ნაწილში, რომელიც სუსტთა და უხასიათოთაგან გაღმერთებულ ძალმომრეობას არ დანებდა და შორს სადღაც, შიგნი-შიგან მიწურებში ჭრაქით შემურულ კერაზე აღვივებდა ამირანის ცეცხლს, ამაგრებდა იქ დარბაზის დედაბოძებს და აღადგენდა მტკიცედ შეკავშირებულ ჯგუფებს ოჯახის სახით, სადაც სასოება და სიყვარულით მრავლობდენ და მით ჰქმნიდენ უშრეტელ წყაროებს ერის სიცოცხლისას.

აი, ამ პატარა, მივიწყებულ მტკიცე ოჯახებში თავი შეუფარებია ყბადაღებულ ქართულ ეროვნულ ხელოვნებას და ყველა მის დარგს, მის ელემენტებს იქ ნახავთ, — 1) იქ, სადაც ფანდურზე ღიღინის დროს ქართველ ერის შემოქმედებას ჩათხრობილ გულიდან ცრემლად უფრქვევია მარგალიტები ქართული მუსიკისა; 2) იქ, სადაც მომჯადოებელ ზღაპრებში ფასკუნჯის ფრთებზე უნავარდნია ქართულ ეროვნულ ფანტაზიას მთვარე-ვარსკვლავთ შორის, — 3) იქვე არს განხორციელება ქართულ პლასტიკურ ხელოვნებისა, იქ არს აღბეჭდილი უკვდავ სიმბოლოებად ერის ხასიათი: სახლის ავეჯეულობაზე—დედაბოძებზე, კიდობნებზე, ჩამჩა-სამარილეებზე, ლიტრა-ქოთან-ჯამებზე, სუფრა-ფარდებზე და მრავალ ქსოვილებზე. აი, იქ არის ძალა ყველა ქართულ ეროვნულ ხელოვნებათა შემაკავშირებელი...

ბ) **რწმენა.** როდესაც ერსა სწამს თვისი ნიჭი, მაშინ დიდი იმედი აქვს გამარჯვებისა, ეს იმედი აცხოველებს მისწრაფებას და უფრო ჩქარა აღწევს თავის მიზანს. თვითრწმენის აღსადგენად ქართველმა ერმა უნდა შეისწავლოს ჩვენი ციხე-ეკლესიები, მათი ფრესკები, რომელნიც უტყუარი საბუთებია მის უმაღლეს მწვერვალამდის ასვლისა დიდებული სიმშვიდით და სიყვარულით დაუმუშავებია მსოფლიო კითხვები. ყველა ამის კვლევა-ძიება-დაფასება ჩაუნერგავს ქართველებს თვითრწმენას და იმედს თვისი ნიჭისას.

გ) **თვითშემოქმედება.** თუ თვითშემოქმედება არ არის განვითარებული ერში, მაშინ ძალაც და რწმენაც იქმნებიან გამოყენებული თვით ერის დამღუპველად და სხვის სასარგებლოდ; თვითშემოქმედება კი გაღვივდება მაშინ, როდესაც ფხიზლად ადევნებს თვალს საზოგადოება ყოველივე შემოქმედების ნიშნებს ახალგაზრდობაში და მისცემს ფართო სამოქმედო ასპარეზს. რადგან პლასტიკურ ხელოვნებაში დიდი წინამორბედი მუშაობაა საჭირო ახალგაზრდობითვე თვალისა და ხელის შესაჩვევად, რომ იგი გარდაიქცეს მის მოთხოვნილებად, მთელ თაობას მომზადება უნდა.

ამის უძლიერესი საშუალებაა, რაც შეიძლება, ხშირად იმართებოდეს მთელი ქართველი ერის სახელით დიდი სტიქიური სამხატვრო-საქანდაკო და ქსოვილთა გამოფენები; უნდა გამოცხადდეს საჩუქრები თავისუფალს და აღნიშნულ თემათა ესკიზებზე; უნდა გავრცელდეს ხმა ყველა ოჯახებში, ყველა ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ დიდი დღესასწაულია შეჯიბრებისა, ნიჭის გამოჩენისა. ვისაც კი უც-

დია, მოკრძალებით რამ დაუხატავს და შეუგნებელ დედმამისაგან მიუმალავს აკრძალვის გამო, უნდა გამოიჩხრიკოს, გამოცოცხლდეს. პირველად გამოფენა, შეიძლება, ისე დიდებული არ იყვეს, მაგრამ მეორედ, როდესაც ნახვენ გამოფენის ნაყოფს — ნიჭიერთა პატივისცემას, სახელს, თვით საქმის სერიოზულ მნიშვნელობას, როდესაც ნახავს ბავშვი ბავშვების ნახატს, მაშინ გაიგებს და იგრძნობს, თვითშემოქმედების ნიჭი აღუფრთოვანდება, თვითქმნის გზას დაადგება და შემდეგი გამოფენები უფრო მრავალფერადი იქნება. ჩვენ, მოზრდილთა, ნახატში იშვიათად არის ის პრიმიტიული, ხშირად უწესრიგოდ, დახატული, მაგრამ საკვირველად ცოცხალი ხალისიანი შთაბეჭდილება.

როგორიც ბავშვს იზიდავს ბავშვის თამაშით, ისე ბავშვი თვისი მხატვრობით იწვევს ბავშვის მხატვრობას. ამ გამოფენებზე აგრეთვე განვითარდება და მომზადდება მოთხოვნილება და გემოვნება მნახველისა, რომელიც მხარდამხარ მისდევს შემომქმედს და ორივენი ერთმანერთის შეგნებით მიდიან წინ. სამხატვრო საბავშვო ჟურნალები დიდ გავლენას იქონიებდენ, რომ იგინი თვით უნიჭიერეს ბავშვებისაგან იხატებოდეს, მათ მოყვარე დიდად შეგნებული კაცის ხელმძღვანელობით.

მეორე დიდათ საპირო გარემოება ის არის, რომ ყოველგვარი კულტურისათვის საჭირო პლასტიკური მუშაობა სრულდებოდეს მისსავე შვილთა ხელოვანთაგან; თუ ხელოვანნი არ არიან ჯეროვნად მომზადებულნი, სჯობს მზრუნველობა მათზე გადიტანოს, მოამზადოს, მიაწოდოს მათ შესაფერი საქმე რადგან კულტურა იქმნება თვით შემქმნილი, სრული და შემდეგ და შემდეგ უფრო ჩქარის ნაბიჯით წავა წინ, რადგან მხატვარი საქმეთ ამრავლებს და საქმე მხატვარს ანვითარებს. საქმეს მოცილებული მხატვარი დაჭკნება და ვერ იხარებს რამდენიც უნდა ბევრი ფული ხარჯოთ მასზედ.

შემდეგ წერილებში გავარკვევთ დღევანდელ გარემოებას — რას ვაკეთებთ და რაშია ჩვენი შეცდომები.

მხატვარი მოსე თოიძე

გედის ვარსკვლავს

ნისლს ჩაეძინა მთებში ნელნელა,
მზემაც იმღერა გალობა გედის,
მაგრამ, რა მთვარემ ამოანათა,
ცაში გამოჩნდა ვარსკვლავი ბედის
და მეც შევსძახე: „ბედის ვარსკვლავო,
ნუ დამიმალავ, გემუდარები:
სულს რა მოელის, როდესაც თვით მე
მოვკვდები, მიწას მივებარები?

მთის ნიავი

ოგოლს

ვინ მიმიკრავს მკერდზე?!

ობოლი ვარ, სულით ობოლი! გული იკუმშება, გული, რომელიც შემოდგომის ცივ ღამეში იშვა სული თრთის, სული, რომელიც გაზაფხულის მიწურულში შთაისახა.

ობოლი ვარ, ობოლი! ჩემთვის ბნელა, ჩემთვის ცივა.

ვინ, ვინ მიმიყრდნობს მკერდზე, რომ სული გამითბოს, ვინ ჩამიკრავს გულში, რომ გზა, ბნელი გზა გამინათოს?!

— შენ, სატრფოვ, რომელიც ჩემი სიჭაბუკის ახალ გაზაფხულზე მომეჩვენე და თითქოს ჩემთვის გაიშალე, თითქოს ჩემთვის გაიფურჩქნე?

შენ მიმიკრავ მკერდზე, შენ გამითბობ ობოლ სულს? შენ მიმისვენებ გულზე და სიყვარულის ნანას მეტყვი, ბნელ გზას შენ გამინათებ?!

— არა, სატრფოვ, შენთან ვერ მოკალ— შენ ვერ გამითბობ სევდიან სულსა, შენი გული მალე, მალე გაიყინება! შენ გზას ვერ გამინათებ — შენი სიყვარულის ლოცვა მალე მიწყდება!

ვერა, ვერ მოვალ შენთან!

ობოლი ვარ, ისევ ობოლი! გული თრთის, გული კვნესის. მცივა, ბნელა .. ვინ, ვინ გამითბობს გვემილ გულს, ვინ გამინათებს ყურყუმ სულს?!

შენ ნიავო, საღამოს ჟამს მოსისინევ, შენ ჩამიკრავ გულში? შენ გამხვევ შენს ბადეში და ძილისპირს მიმღერ, რომ დამეძინოს და სიცივე გადამავიწყდეს?!

შენ, ვარსკვლავო მოციმციმევ, შენ გამინათებ უკუნეთით მოფენილ გზას?!

ვერა! ნიავო, შენი ჩურჩული ვერ დამაძინებს, რომ სიცივე გადმავიწყდეს.

ვარსკლავო, შენი ციმციმი გზას ვერ გამინათებს!

ნიავო, შენ სადღაც მთის ორწოხში ჩაკვდები და მეც ცრემლად დავდნები.

ვარსკლავო, შენ სადღაც ცის კამარაში გაქრები და მეც გზას, ჩემ გზას ავსცდები...

არა, ვერ გამათბობ ნიავო, ვერ გამინათებ ვარსკვლავო გზას!!

ჰო, მზევ, ცეცხლმფრქვეველო მზევ! შენ მიმიკრავ მკერდზე, შენ ჩამიხუტებ გულში, გამინათებ გზას, გამხვევ ალმურში...

ჰო, მზე, მზე გამათბობს, მზე გამინათებს გზას!

— საბრალო, კიდეც გათბები, კიდეც გზა გაგინათდება, მაგრამ დაიწვი — დაიხრაკები!

ჰო, დავიწვა, დავიხრაკო, ოღონდ თავიდან წუთით მოვიშორო ეს სიცივე, ავსცდე ამ სიბნელეს.

დეე, დავიწვა, დავიფერფლო!!
მზევ, ხომ შენ ჩაგეკვრები?!
მზევ, ხომ შენით დავიხრაკები?!

დ-ა ჩიანელი

ვნახე საფლავი

(ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას)

საფლავთა შორის მისი საფლავი განსხვავდებოდა. აქა ესვენა მოქომაგე ტანჯული ხალხის. ძეგლი მდიდრული ამა საფლავს არ ამშვენებდა. მისსა საფლავზედ ამოჭრილი პატარა გული იყო გული მკვნესარე მუშის. — მაისის ღამეს დანამული მისი საფლავი გამოსახავდა ცხოვრებისაგან განაწამებ გლეხისა ცრემლებს. მოკიანთე ვარსკლავთა გროვა ტკბილათ დასცქეროდა მებრძოლის საფლავს, ამა საფლავზე მოფანტული მთვარისა სხივი თავისუფლებას გამოხატავდა, — საფლავის გვერდით რბოდა მდინარე ანკარა ნაზი და თვის ბუტბუტით ტანჯულთა ბედზე მწარედ მოსთქვამდა. ესვენა გმირი ყვავილოვან საფლავთა შორის და მის საფლავზე განუწყვეტლივ მაისის ღამეს ბრძოლისა ჰანგებს სტვენდა ბულბული.

ილია ბახტაძე

თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი

ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინი

ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, ჩვენი თანამემამულე, ცენტრალური ფიგურაა რუსეთის სათეატრო ხელოვნებაში. მრავალი წლები მოღვაწეობისა და ამასთან მრავალგვარ დარგში, როგორც მსახიობის, რეჟისო ის და დრამატურგის, ცხადია შეზავებული ღრმა და უტყუარ ნიჭთან, საუკეთესო სტრიქონებია რუსულ თეატრის მატიანეში. ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი მთავარი ხელმძღვანელია მოსკოვის „საიმპერატორო თეატრისა. ეს თეატრი თავგამოდებით იცავს რუსულ თეატრის ტრადიციებს, — ამ შემთხვევაში კლასიციზმს. ჩვენ აქ მისი რთული პიროვნების დახასიათებას არ ვცდილობთ, ამას შემდეგ წერილში ვეცდებით, მხოლოდ ამჟამად გვინდა კალმის მოხაზვით დავხატოთ სილუეტი მისი, როგორც ქართველის და სათეატრო მოღვაწის, რანაირადაც ჩვენ ეს გვეჩვენა მასთან ორჯერ საუბრის დროს.

I

მოსკოვში წელს 14 იანვარს წმ. ნინოს დღეს ქართველმა საზოგადოებამ ბანკეტი გამართა. ბანკეტზე მიწვეული იყო ალექსანდრე სუმბათაშვილი. ქართველები ტაშისცემით შეხვდენ მის მოსვლას. ახოვანი, ჩასკვნილი ტანით, არწივისებური ქართული კეხიანი ცხვირით და არწივისებურივე გამომეტყველი შავი უძირო თვალებით, ის სულ ახალგაზრდის შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქო ათეულ წლებს მის ახლოს გაუვლია და ვერ დაუმჩნევია კვალი ვერც მის გარეგნობისთვის, ვერც სულისთვის და სიბერეს შეუჩერებია საზეიმო სვლა. თამადამ, ალექსანდრე ნ. ჯავახიშვილმა, მგძნობიარე სიტყვით მიმართა. ჩამოთვალა მისი დამსახურება და აღნიშნა, რომ სიამაყით ავსებს ქართველის გულს. საპასუხო სიტყვა უთხრა ალ. იუჟინმაც.... დაიწყო რუსულად. სთხოვეს, რომ ეთქვა ქართულად.

— ბატონებო, არ ვიცი ქართული ლაპარაკი, წაკითხვით-კი ვკითხულობ, ნალაპარაკევიც მესმის, მხოლოდ მე თითონ არ შემიძლია ლაპარაკი. საქართველოში დამიშალეს ქართული

დაბრკოლება, ამბობს ოხუნჯობით: ერთხელ წერაკითხვის მდეგანს ვეღარ ვაბრკოლებ ქართულად და სიტყვებს ისე ვამტვრევდი, რომ შემეხვეწა:

— სად, ბენეფეცვალე, ნუ დაბრკო

მოგზაური ცოლქმარი

ფრანგი ჟურნალისტი პაველ სევენი მოგზაურობს ფეხით და უნდა შემოიაროს დედამიწის ირგვლივ 50,000 კილომეტრი 6 წლის განმავლობაში. თან ახლავს ცოლი.

დედას

მე შენს კალთაზე არწივად ვიშვი
და ფრთა შევისხი, ფრთა ცეცხლის ალი,
ნაპრალ კლდეებში ავზარდე ფიქრი,
ფიქრი ზვიადი, თავისუფალი.
იმედის სხივით შევფოთლე ქნარი,
ბრძოლის სიმები დავჭიმე ზედა,
რაღას დამაკლებს აწ წელთა ქარი,
მე ხომ შენ გიმღერ, შენ, ჩემო დედა!

ცვარნამი

ბრობდეს. რაფაელი მატარებელია საერთო კულტურის, მიქელ-ანჯელო კი ნაციონალური ტენდენციის ხელოვნებაში. გამარჯვება პირველს რჩება. ეს ასეც უნდა იყოს, მე ასე მესმის ეს საკითხი...

ხმაზე ეტყობა, რომ ახალგაზდობის ამ გატაცებამ იმაზე იმოქმედა, მაგრამ მას უნდა გაამართლოს ეს გზა, რომლითაც იარა ო�itonn. ამ პიესაში საკუთარი გამართლების მოტივი იქნება უთუოდ...

— ეოვედ გადამეტებულ ნაციონალიზმს მოსდევს სიავწროვე აზროვნების. ცუდია ხალხის სალხზე გადაკიდება, მეტსაც ვატყობ: ფედურობას, ეს არ უნდა იყოს. ეს კულტურის წინააღმდეგია; აბა თქვენ მოგწონთ მარკოვ მეორის პოზიცია?

— მერე რაა ჩვენ და იმათ შორის საერთო?

— ჯერ არა, მაგრამ შესაძლებელია შემდეგ იქნეს.

— არას დროს არ იქნება: ჩვენ დამონებული ვართ, ჩვენ ჩაბალახ-ახალი ვართ და ფეხშიშველი; ჩვენ ვიცავთ ელემენტარულ უფლებებს, ბუნებრივ უფლებას.

— იცით, მისტიური ხმით კაითავა: მე ძალად არ მოგკალი სულეიმან-სანი... შებრალებია სასწირო.

— ჩვენ ვჯერდებით ისეთ სიკვდილს სულეიმანსანისას, როგორც თქვენ გვიჩვენეთ...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ტიტე ტაბიძე.

პირველი ლოტბარი ქალი სიმფონიურ ორკესტრისა

ევა ბრიუნელლი

სამუსიკო განათლების კურსი დაამთავრა რომის კონსერვატორიაში, კომპოზიციის ნაწილზე, პროფ. საამბატტის ხელმძღვანელობით. მონაწილეობა მიუღია: პარიზსა, ნიცცასა, რომსა, პავლოვსკსა, პეტერბურგსა, კისლოვოდსკსა და სხვ.

ამ ჟამად თბილისში სახელოვნად ლოტბარობს „ახალი კლუბის“ სიმფონიურ ორკესტრს.

ახალი ფრაკი

(ბერანგესი)

(ვუძღვნი მსახიობს დავით მგალობლიშვილს)

წუთისოფლისა სხვა და სხვა საცდურს
რომ შევებძოლო — არ შემწევს ძალი...
ერთხელ დიდკაცმა მეც მიმიწვია
თავის მეჯლიზსე, როგორც მწერალი.
სხვებსა წავბაძე და დავაპირე
აუცილებლად იმას ვხლებოდი. .
დიდკაცთან ყოფნა კარგი რამეა;
მეც საამისოდ ვემზადებოდი...
დიდკაცისასა ვნახავ სასახლეს...
თერძს შევუკვეთე ფრაკი ახალი...
დილიდამ სარკის წინ ვტრიალებდი
აღელვებული და თან შემკრთალი...
ვსწავლობდი ფრაკში მიხვრა-მოხვრასა,
დარბაისლურს და სასტიკსა ცქერას:
დიდკაცთან ცუდი ქცევა და სიტყვა
მაწყევლინებდა ჩემს ბედისწერას!
დიდკაცთან მისვლა მომიხდებოდა, —
ტანზე ჩავიცვი ფრაკი ახალი;
ფეხაკრებითა ნელ-ნელა წაველ...
დახეთ: ძმა-ბიჭთა შემასწრეს თვალი:
— „მოდი, გეთაყვა, აქ ისაუზმე!“ —
შევედი... სმაა გახურებული...
ძმა-ბიჭებთან სმას არა უშავსრა...
მაგრამ დიდკაცთან ვარ მიწვეული!..
მე, ბატონებო, დიდკაცთან მივალ ..
ამას არ უნდა აქ ლაპარაკი...
მე, ბატონებო, დიდკაცთან მივალ —
და ტანს მიმშვენებს ახალი ფრაკი.
ლაზათიანად გამოვიყეყე...
წავედი... შემხვდა გზაზე ქორწილი...
მეგობარს ჩემსას ცოლი ეთხოვა...
რომ არ ვეწვიო, არის სირცხვილი!..
არვის ჩამოვრჩი იქ სმა-ჭამაში;
ფრიად გავწითლდი, დავითვერ რაკი...
მე, ბატონებო, დიდკაცთან მივალ,
ტანზეც მაცვია ახალი ფრაკი ..
ქორწილის შემდეგ ვიწყე რატრატი,
ღობეს ვკიდებდი დამთვრალი ხელსა ..
ვცდილობდი სტუმრად თავის დროს მისვლას
და მ ვადეგი კარს შესასვლელსა ..
ლიზა იქ დამხვდა... და მიეშმაკა,
რაღაც მანიშნა... ის ტურფა ქალი
მე მორჩენია ათას წილ დიდკაცს:
იმას არ უნდა ფრაკი ახალი.
ლიზამ წამაძრო ხელთათმანები...
ვით ქედ-წახრილი მორჩილი ხარი
თავის საწოლთან მე მიმიყვანა
სხვისი წვეული, სხვისი სტუმარი.
ახლა კი ფრაკი მეტად მემძიმა ..
მივხვდი, შემემთხვა რაც ფათერაკი...
მსწრაფლად დიდკაცი გადავივიწყე
და გავიხადე ახალი ფრაკი...
ფუშმა დიდებამ მე თავის დროზე
ჭკუა მასწავლა, მაშორა ჭირი...
და კვალად ღვინოს მოვკიდე ხელი...
კვალად სამღერლად ავიღე სტვირი.
სოფლის წყვდიადსა და ბრწყინვალებას
არაფრად ვაგდებ, ჩალის ფასად ვთვლი...
თავისუფლებას კი თაყვანსა ვსცემ;
დიდკაცის ახლოს არც კი გავიარ!!
თუ ამის შემდეგ ვინმე თქვენგანი
არად ჩაგდებს ამ მართალ არაკს
და განიძრახავს დიდკაცთან წასვლას,
იმას ვაჩუქებ ჩემსა ახალ ფრაკს ..

ილ. ჩხერიმელისპირელი

სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე მოკრეფილი ყვავილები

მსახიობი ალ. იმედაშვილი

ოჰ, რეცენზენტებო!!

დედინაცვალი

დრამა სამ მოქმედებად

ტრ. რამიშვილისა

Настоящая пьеса подъ заглавіемъ „Мачеха" соч. Трифона Рамишви и разрѣшена Намѣстникомъ ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА на Кавказѣ для представленія на сценахъ края (отзывъ Канцеляріи за № 22926-914 г. 3 мая 1914 г. Тифлисъ за Предсѣдателя Комитета Гроздовъ.

ტრ რამიშვილი

მომქმედნი პირნი:

1) **დედინაცვალი.**

2) **ხალამპრე,** მისი მეორე ქმარი.

3) **ელიკო,** გერი პირველი ქმრიდან, 12 წლისა.

4) **მარიამი,** ბებია ელიკოსი დედით.

5) **მალხაზ უნგიაძე,** საყვარელი დედინაცვლისა.

6) **ნიკო ომიანიძე,** სოფლის ანტელიგენტი.

7) **მოლოზანი.**

8) **მაკრინე,** სოფლის დედაკაცი.

9) **მარო,** დისწული დედინაცვლისა 14 წლ.

10) **ეთერა,** მოსამსახურე დედინაცვლისა.

11) **უცნობი ნაბადში.**

12) **ასკანელი.**

13—15) **პირველი, მეორე და მესამე გლეხი.**

სოფლის ხალხი.

სცენაზე სოფლის შარა-გზაა. იქით სიღრმეში მოსჩანს ეკლესია სასაფლაოთი. მარცხნით პატარა ხის სენაკი, იქვე ახლო მოჩხრიალებს ანკარა წყარო. საღამო ხანია. ფარდის ახდისას მარჯვნივ მხრიდან ისმის შორიდან ტკბილი სიმღერა გუგუნით. მოხუცი მოლოზანი ზის სენაკის კარებთან და ართავს. რამდენიმე წუთის შემდეგ შემოდიან ყანიდან დაბრუნებული გლეხები. სიმღერას შესწყვეტენ.

1

მოხუცი მოლოზანი და გლეხები

ყველანი. საღამო მშვიდობისა, ბებია ელისაბედ!

მოლოზანი. ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოთ, შვილებო.

პირველი გლეხი. აბა ერთი დოქი გვათხოვე დედა-შვილობას.

მოლ. ეხლავ, ბატონო, ეხლავ შენი ჭირიმე! (შედის სახლში)

ერთი გლეხთაგანი (ამთქნარებს, მერე — კი ორი სხვაც)

პირ. გლეხი (ჭადარა შერეულია) ბიჭო! ე მთქნარება იჯარით ხომ არ აგიღიათ დღეს.

ყველანი (იცინიან)

ორი იმათგანი (პაპიროზს გააჩაღებს)

მოლ. (გამოუტანს დოქს. წყალს კი სამი კაცი სვამს ხოლმე) დღეს ადრე გამოგიშვიათ უქმის ძალი.

პირ. გლეხი. მაგიერში სამარგლი სულ მოვათავეთ; ერთი ასეთი შეტევაც და შემოდგომამდე მოვისვენებთ კიდეც.

მოლ. (ერთ-ერთ ახალგაზრდა გლეხს დააცქერდება) ეს ვაჟი ვინაა? რაღაც არ მეცნობა.

პირ. გლეხი. კაი ბიჭი ასკანელი.

მოლ. მაინც, მაინც?

პირ. გლეხი. ეს ჩემი სიძეა.

მოლ. მართლა! რა ბიჭია! ღმერთმა გიცოცხლოს.

პირ. გლეხი. გავიგდე დღეს ყანაში და მუშაობით თავ-ბედი ვაწყევლინე.

მეორე გლეხი. რომ იცოდე, ბებია ელისაბედ, რა კრიმანჭულს ამბობს ეს ოჯახ-აშენებული, რა კრიმანჭულს.

მოლ. ასკანელია და... კეთილი იყოს, შვილო, შენი პეტრეს ოჯახში შემოსვლა.

ასკანელი. გმადლობ.

მოლ. (დაჯდება და ისევ თავის საქმეს შეუდგება)

მეორე გლეხი. (ასკანელს) ასკანელო! აბა ერთი შენებურათ! (დაიწყებს რომელიმე გურულ ცოცხალ სიმღერას, სხვებიც ბანს დაგუგუნებენ) გოგია დაუჯარიმებიათო! მართალია?

მოლ. დაუჯარიმებიათო, მართალია. გაიხარეთ შვილებო, გაიხარეთ!

მეორე გლეხი. მე ეს არ გამიგია. რისთვისო, ნეტავი?

მოლ. ამბობენ არყის გამოხდისათვისო.

რამდენიმე გლ. ჰო, ჩვენც გავიგეთ. მართალი ყოფილა.

მოლ. დავიჯერო ასე ულვთოთ გაიმეტებენ?

მეორე გლეხი. მაშ არადა! გაიმეტებენ კი არა, რკალივით მოხრიან.

მოლ. მოდი ეხლა და ელაპარაკე. რა უნდა ქნას საწყალმა კაცმა. იმ ორიოდე გროშით ცოტათი სულს იბრუნებდა, ეხლა ამასაც უშლიან. ნეტა ვინ გასცემდა?

მეოთხე გლეხი. „ვინ გასცემდა“. დალოცვილო, განა ცოტა გვყავს მალხაზისთანა პირშავი მეზობელი. დაუდგათ დრო და სარგებლობენ კიდეც ხალხის დროებით დაუძლურებით, მაგრამ არაფერია: ოდესმე იმათი განკითხვის დღეც დადგება. აბა ეხლა კი წავიდეთ.

მეორე გლეხი. საბანაოთ ვინ მოდიხართ?

სხვები. რა დროსია, ჯერ შინ მივიდეთ. (შენიშნავს მარცხენა მხრიდან მომავალ ომიანიძეს და ხმა დაბლა) აგერ ჩვენი გაუცინარიც მოდის.

II

იგინივე და ომიანიძე.

ომიანიძე (შემოდის მარცხენა ხრ. დან. მეტად გამხდარი და მკაცრი სახის კაცია. აცვია სადა ევროპიული ტანისამოსი. ხელში ჯოხი)

ყველანი. ნიკოს გაუმარჯოს!

ომიან. (ცივად) გაგიმარჯოთ!

მესამე გლ. სხვა, როგორ გიკითხოთ, როგორ ბრძანდებით?

ომიან. (სულს ჩაიქნევს) ღირს კი მაგაზე ლაპარაკი? (პაპიროსს ამოიღებს)

მესამე გლ. (ერთერთ გლეხს) აბა ლევან, კვეს-აბედი!

მეორე გლ. (სულათ აასრულებს და მოაკიდებინებს) გაშალე მეთქი შუბლი, ჰო.

პირვ. გლ. ყოჩაღად იყავი, გულს ნუ გაიტეხ. იცი რა, ჩემო ნიკო! შენ, რომ ასეთი გულ-ჩახვეული კაცი არ იყო და სოფელსაც არ გაურბოდე, არც ასე იქნებოდი. შე დალოცვილო, მარტო ყოფნა და ამ საფლავის ქვების ცქერა ვის არ გასტეხს. გონს მოდი ძმაო, შენი განათლება თუ გვქირია, ეხლა გვქირია. დარდსა და ვარამს როდი უნდა მოუხარო ქედი.

მოლ. პეტრე მართალს ამბობს, თქვენმა კარგათ ყოფნამ, მართალს. ნეტავი მაგას ამ საფლავზე სიარულს მოაშლევინებდეთ და სხვა არა მინდა-რა.

ომიან. დაგვიანებულია! ჩემი გული ცხოვრებისათვის სამუდამოთ დაიხურა. (მოლოზანს) მოლოზანო! დავიჯერო მართალია რასაც ამბობენ?

მოლ. რაო?

ომიან. ელიკოს დედინაცვალი თხოვდებაო.

მოლ. ჰო, მართალი ყოფილა.

ომიან. ველარ ითმენს წყეული, კიდევ უნდა ვინმე დააქციოს

მოლ. მაშ არა და. თურმე ი ვილაცაა, ცხონებულ გიორგისავით მოხიბლულა მაგისი სახით.

პირ. გლ. სადაურიაო!

მოლ. ბაილეთელი.

მეორე გლ. ქვრ-ვ- იქნება.

მოლ. მეც მასე მეგონა, მაგრამ უცოლო ყოფილა თურმე, ისიც ხნიერი, ხელობით დურგალი. რაც მთელ თავის გამოზრდაში ფული უგროვებია, აულია და იმ თვალდამდგარს სულ ამისთვის დაუმტკიცებია. ამბობენ სიყვარულისაგან ლამის გაცოფდესო. ხომ ჰხედავთ ისევ თავიდან იწყებს.

მესამე გლ. რა უჭირს, ჯერჯერობით ბედი სწყალობს. ნეტავი სად გადაეყარა?

მოლ. მარიამობის ბაზარში. მას აქეთია მთელი ქვეყანა შესძრა თურმე და მანამ არ დაიყოლია, არც დღე ეძინა და არც ღამეო, (პირჯვარს იწერს) ჩვენთან არს ღმერთი, ჩვენთან არს ღმერთი. თუ მამაკაცი აღიტინდა, შენი მტერია. (ყველანი იცინიან) ეს, რომ გავიგე, მიამა, მეგონა აქედან გადაეთრევა და იქნებ პატარა ობოლს გოგოს ეშველოს მეთქი, მაგრამ...

ომიან. (უცბათ) რაო?

მოლ. აქვე რჩება. ზედსიძედ შემოჰყავსო. ეტყობა ობოლი ღმერთმაც მოიძულა და კაცმაც.

ომიან. (გლეხებს) თქვენ რომ ვარგოდეთ, ის ბავშვი დღეს ასე მიტოვებული არ იქნებოდა. ერთ დროს იმისი მშობლებიც ხომ თქვენი მომაგენი იყვნენ. სიკეთე როდი უნდა დაივიწყოთ. (მოლოზანს) მოლოზანო! კაი, ხანია არ მინახავს ობოლი ანგელოზი. რა იქნა, ხომ ცოცხალია? წინეთ კი ხშირათ

ესტუმრებოდა აქაურობას და მწარე ცრემლებით აგრილებდა დედის დამწვარ გულს. ხალხნო, დავიჯერო იმის მშობლებმა ჩემს მომავალთან ერთად თქვენი სინიდისიც თან ჩაიტანეს საფლავში? ღმერთო ჩემო! რა ოჯახი მოისპო, რა ოჯახი!

მეორე გლ. ბატონო ნიკო! ცოტათი რომ არ აზვიადებდე, ისე ერთი მხრით მართალი ხარ.

მესამე გლ. გული გაიმაგრე, ჯერ ცოტა გვადროვე და იმათ სე რსაც გაჩვენებთ. ყველაფერს დრო ჰქონია. ბიუგბო! ჩვენს ნიკოს დარდი მოსწოლია და ერთი იმისი საყვარელი აბადელია დავძახოთ.

ყველანი. აბა, აბა!.

ომიან. (მიდის ეკლესიისკენ და მიეფარება)

მეს. გლ. პურ-მარილზე წ ხლი გიკარია, ამას ჰქვიან სწორედ. (იცინიან)

მეორე გლ. თუ სიყვარული ასე დასტანჯვიდა, არ მეგონა.

მოლ. ვინ იცის, იქნებ მაგასთან უფრო ბედნიერი ყოფილიყო უბედური ნუცა.

პირ. გლ. რა ექნა, თუ კი გიორგი უყვარდა!..

მოლ უყვარდა, მე შენ გითხრა, დაუფასა კიდეც ამაგი.

ასკანელი. (ბირველ გლეხს) სიმამრო, ერთი გამაგებიე რაზე ლაპარაკობთ?

პირ. გლ. ეს გძელი ამბავია. (გასხედებს მარჯვნივ ეკლესიის გასწვრივ) ის ლამაზი კარმიდამო წინეთ ჩვენს საყვარელ მეზობლებს გიორგი და ნუცა მურვანიძეებს ეკუთვნოდა. სოფლის თვალი იყო ორივე ცოლ-ქმარი. რა სიყვარული, რა თანხმობა, მაგრამ ამ წუთი სოფელში ერთი დრო ვის შერჩენია. გაწყრა ღმერთი და იმ უბედური დღისამ სანაქებო ცოლი ერთ ბოროტ დედაკაცში გასცვალა. ცოლმა ვერ აიტანა ეს მწუხარება, დაიზაფრა და მოკვდა. დარჩა ერთი პატარა გოგო. ცოლის დამარხვის ცოტა ხნის შემდეგ, გიორგიმ შეირთო თავისი მიჯნური, ამან კი სულ დააქცია მისი ოჯახი. ისეთ დღეში ჩააგდო და ისეთი სირცხვილი აჭამა, რომ შარშანწინ, ამდროს, შუბლში ტყვია იკრა...

მოლ. „ღმერთო ნუ მისცემ ვაჟკაცსა
ცოლსა მტირალსა, კაპასსა,
ის მოჰკლავს, ის დაამიწებს
და მისცემს წყალსა მდინარასაო“.

— ნათქვამია და აი ვნახეთ კიდეც.

ასკ. ეს ნიკო ვინაა?

პირ. გლ. ერთი ჭკვიანი და განათლებულ კაცი. მურვანიძეების დაღუპვის შემდეგ ყველაფერზე აიყარა გული. ცხონებული ნუცა უყვარდა თურმე, მაგრამ ქალმა გიორგი ამჯობინა. ვინ იცის, ელისაბედის თქმის არ იყოს, ამასთან იქნებ უფრო ბედნიერი ყოფილიყო.

ასკ. საკვირველია ღმერთმანი, მთელი სოფელი ერთმა კუდრაჭა დედაკაცმა როგორ უნდა დააშინოს.

პირ გლ. მოიცა, ჩემო ასკანელო. საქმე არც ეგრეა, შენ რომ გგონია. ის დედაკაცი უბრალო ვინმე არ გეგონოს, როკაპია, როკაპი. მაშლაყინწური ფახი-ფუხით იმას ვერავინ ვერას გამორჩება საჭიროა სოფელმა პირი შეჭკრას და მიესიოს. ეს ასეც იქნება. ადრე იქნებათუ გვიან, იმ ოჯახში დიდი ამბები დატრიალდება.

სხვები. წავიდეთ, წავიდეთ, თორემ მაგათი ამბავი დილამდე არ გათავდება. ღამე მშვიდობისა, ბებია ელისაბედ!

მოლ. მშვიდობა ნუ მოგაკლოთ, შვილებო!

(გაგრძელება შემდეგ)

ტრიფონ რამიშვილი

ბრძოლის ველი

(სურათი ბალკანეთის ომიდან)

უზარმაზარ მთის ძირას, რომელსაც მთვარის შუქი ოდნავ ხვდებოდა, დაფიქრებული იდგა ნაზიმბეი. მცირე აზიაში განთქმულ ნაზიმბეის ექვი ეპარებოდა, „ნუ თუ ჩემი ძლევამოსილი ლაშქარით ხვალ გათენებისას ვერ დავსცემ ძირს იმ ციხეს, რომელიც ამაყად გადმომდგარა სალ კლდეზე... ჰმ! მაგრამ სადღა არის ახლანდელ დროში გმირობა, გამბედაობა: ყოველივე გაჭრა! რაც უნდა გმირი იყო, ცხელ ტყვიას მაინც ვერ გაუძლებ და მერე იცი ვინ მოგკლავს,—შენზე ბევრად

სუსტი!“ ჰფიქრობდა გამჭრიახი ნაზიმბეი, ხოლო მისი ჯარის კაცები მაგარ ძილს მისცემოდენ. ნაზიმის თვალებს მთელი ღამის განმავლობაში ძილი არ მიჰკარებია, ის სულ რიჟრაჟს ელოდა: „ნეტა ვინ გაისვრის უწინ თოფს“?.. ნუ თუ ორი მუჰა ჩერნოგორიელნი ჩემს ძლევა-მოსილებას რამეს გაუბედვენ! . მე არ ვიყავი, რომ ეგვიპტე ლამის დაუბრუნე ოტომანთა იმპერიას... ოჰ! ოტომანთა იმპერიას, სადღა არის დღეს ოტომანთა ის თვალუწვდენელი პროვინციები! ყოველივე ჩამოგვერთვა. ოტომანთა იმპერია მხოლოდ სახელით-ღა დარჩა“!..

მთვარემ წამოიწია და იმ ალაგს დაუწყო ყურება, თითქოს განგებო, საცაა რიჟრაჟზე ადამიანნი მხეცებსავით უნდა შებმოდენ ერთმანეთს... ნაზიმმა ულვაშებზე ხელი გადისვა და როცა მთვარემ ჩაბნელებული მიდამო გაანათა, მან რაღაც არაჩვეულებრივი შენიშნა: „ალბად წინასწარმეტყველმა გვიშუამდგომლა ღვთის წინაშე იმის შესახებ, რომ ნადგურდება მისი თანამორწმუნე ოტომანთა იმპერია და გამოსთხოვა დახმარება.. აჰაჰ! და ეხლა მთვარის შუქით მამცნო დახმარება მაჰმადიანთა იმპერიის აღსადგენად“.

ნაზიმბეის ჭაღარა თმა გაუბრწყინდა: მივიდა მთის ძირას და მხურვალე ლოცვა დაიწყო. მთვარემ თავისი ცრემლები დაადინა შადრევანის მგზავსად და თავის ალაგი ალიონს გადასცა...

არ ეძინათ აგრეთვე „ორ მუჰა“ ჩერნოგორიელთა ბანაკში. იქ ყველა ახალი სისტემის იარაღს ამზადებდა, ხოლო გმირი ნაზიმბეი აზიაში დაჩლუნგებული იარაღით ლამობდა მათთან შებმას. მოატანა რიჟრაჟმა და ბრძოლის ველიც ნისლით შეიმოსა, თითქმის ბუნება ჰგლოობს მოსალოდნელ მსხვერპლსო.

გაისმა ბუკის ხმა...

ორივე ბანაკიდან მხნედ გამოვიდნენ ჯარის კაცნი. ამაყი ნაზიმბეი პირდაპირ ჩერნოგორიელთა ციხისკენ გაემართა... „თუ აღვადგენ ოტომანთა იმპერიას — ისევ მგო, წარმოსთქვა ნაზიმმა“.

ჯარი მიუახლოვდა ციხეს, ასტყდა საშინელი სროლა. ნაზიმი აზიურ ხერხს ეძიებდა, ხოლო ჩერნოგორიელნი ევროპიულად მოქმედებდენ. ნაზიმმა იცოტავა ჩერნოგორიის ჯარი და ლამობდა სულ ერთიანად მათ დატყვევებას, მაგრამ... ჰა, აგერ უბრალო ციხის დარაჯმა გაისროლა ახალი სისტემის თოფი, გმირი ნაზიმბეიც მყისვე დაეცა მიწაზე. პირველად არა უთქვამსრა, მხოლოდ ოხრავდა. როდესაც სულმა განშორება დააპირა, ნაზიმმა ესღა წარმოსთქვა: „სადღაა გმირობა, ყოველივე გაჰქ“... ვერ მოასწრო ამ სიტყვების დათავება და სული განუტევა...

ასტყდა ზარების რეკვა ჩერნოგორიელთა ბანაკში ნიშნად გამარჯვებისა... ხოლო დატყვევებულნი გულშემოყრილნი ოსმალნი მწარედ ჰგლოვობდენ.

ი. ჯიხაიშელი

ვინ დაარსა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი?

ხ. ი. სავანელი
თბილისის მუსიკალურ სასწავლებლის დამაარსებელი

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ საზოგადოება ან ერი ივიწყებს, უკეთ რომ ვსთქვათ, არ იცნობს თავის შვილს, რომელიც დავიწყების ღირსი არ არის. ამაში დამნაშავეა ხან თვით ერი, რომელიც თვალყურს არ ადევნებს თავის ქვეყნის მოღვაწეთა, და ხან თვით მოღვაწე, თუ ეს დამნაშავობად ჩაითვლება. „დამნაშავეა“ იმიტომ, რომ მოღვაწეობს ჩუმად, თავის თავზედ არა ყვირის და ამ უკუღმართ წუთი-სოფელში ხომ ასეა: მყვირალა, თუნდ ნაკლებ ნიჭის პატრონი, უფრო მიღებულია საზოგადოებაში, ახსოვთ და პატივსაც სცემენ, ვიდრე ჩუმს, თუნდა დიდი ნიჭის პატრონს და მოამაგეს. ის ისტორიის სვედრი ხდება და მადლიერი ერი მხოლოდ შემდეგ იგონებს დიდებით და პატივისცემით.

ერთი ამისთანა მოღვაწეთაგანი იყო ჩემი ყოფილი მასწავლებელი ხარლამპი ივანე' ძე სავანელი. მან ვითარცა, განვითარებულმა მუსიკოსმა, პირველმა მოისურვა და ჩაუყარა მკვიდრი საძირ-

კვედი ახლანდელ თბ. სიმფონიურ მუსიკალურ სასწავლებლის განყოფილებას. რაკიმცა ზემოხსენებულ სასწავლებლის მოკლე ისტორიულ მიმოხილვიდანაც სჩანს, ჯერ კიდევ 1871 წ. შემდგარა ბატარა მემუსიკეთა წრე მუსიკოსის კიუნერის მეთაურობით, მაგრამ რადგან მეკვიდრნი ადგილზედ არა ყოფილა დამეურებული და მარტო კონცერტების მართვას გაძღვნოდანენ, რომელიც ძალიან ნაკლები ჭქონია შემოსავალი, მეორე წელსვე დაშლილა ეს წრე. კიდის ამის შემდეგ ორი წელიწადი და ერთი მეშვიდი და წუნარი მუშაკი, სასულმწიფო ბანკის მოხელე ხ. ი. სავანელი 1874 წ. სსნა კერძო სიმუსიკო სასწავლებელს ქ. თბილისში.

„სწორედ მეცხვენოდა ჩემის თავისა და ახლაც კი ვერ ვაბატიებ ჩემ თავს, რომ სიურმით ამოარჩეულს გზას ვუღალატე და ჩანოგნიკად მომნათლა ბედის წერამ“, მეტეოდა ხოლმე კანსვენებული და ბრტყელ შუბლზე შემოიკრავდა ხელს: „ხშირად, როცა კი ნაცნობ თუ ნათესავებში, ან სადმე სახოგადოებაში გავბედავდი და ვიტეოდი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკას ადამიანის განვითარება-გაკეთილშობილებაში, ან იქვე ბიჭში მეტეოდნენ ხოლმე: გეტეობა მოცლილი სარ და რა გინდა, შენც არ გესმისო, ან სასაცილოდ მიგდებდენ და ჩემზედ ოსუნჯობდენ. ყველა ამაა ვძღიე და ჩემის მეთაურობით გავსსენი კერძო სასწავლებელი. *) რადგან ბინა არა გქონდა, შეეფარენით ქალ. ყაბოს ბიჭველდაწყვეთ სასწავლებელს, სადაც სადამობით ვასწავლიდით მოწაფეებს; ან ბიჭველ კლასიკურ გიმნაზიაში გადავიტანდით ხოლმე სასწავლებელს, ან სადა, მაგრამ მეკეთელ მწამდა, რომ ჩემგნით დაწყებული საქმე არ მოკვდებოდა და ნაყოფსაც მოიტანდა, მით უფრო, რომ დღე-დღეზედ გვემატებოდენ მოწაფეები და, აი ახლა შენც ხომ ხედავ, ეს სასწავლებელი არ მოკვდება! დადგება დრო და ამ სასწავლებელში ქართული ჭანგებიც გაისმინო“.

ასეთის გატაცებით იცოდა განსვენებულმა დაბარაკი, მხოლოდ გულანდული იყო ჩვენზე და ხშირად იტეოდა ხოლმე: „ბიჭო, შენს მეტი არავინ არის სალქართველოში მუსიკის შესწავლის მსურველი? მოიყვა რამდენიც უნდა იყვე', სულ მუქთად ვასწავლი, თქვენი არაფერი მინდა“ ო. მარდოტ იმდენი ხანი დაყიარებოდი განსვენებულთან და ერთი კაბეიეიც არ გამოურთმევია. ან მე სიიდან გავიცნობდი ამისთანა იშვიათ კაცს, თუ ბატიფცემული ი. გ. რატიშვილი არ გამცნობდა მას. მაშინ ბ-ნი რატიშვილი გიმნაზიაში სწავლობდა. ბიძაჩემთან, მითხრა რატიშვილმა, წამიყვანა სკოლაში მასთან და გამცნო 1882 წ. მას შემდეგ რაკლა მოვშორდებოდი. მოწაფე ვიყავ ჯერ, მაგრამ ამ საქმისთვისაც დროსა ვმოულობდი.

ასეთის წვალებით და ორეული სასწავლებელს მაინც განსვენებულმა მტკიცე ნიადაგი მოუპოვა, მაგრამ ამანაგებმა კი ბოლოს ვერ დაუფასეს შრომა. უკულმართ ცხოვრებაში ხომ ასეა, როცა საქმეს იწყობ—არავინ გშველის, მერე მზამზარეულზე მობრძანდებიან, შენ კი გაგაძევებენ ან ადმცირად დაგიწყებენ ყურებას. როდესაც დასტეო, თავის ნაშრომ სკოლას ჭერი მოეშალა-მოეწყმდა, გულნატკენი განშორდა მას, ბეტერბურგს აბარებდა, და ადრე დირსებია სალქართველოში დაბრუნება: ბეტერბურგშივე გარდაიცვალა.

განსვენებულს ბლომად ჭქონდა ქართული მუსიკის შესახები ნაწერი და აგრეთვე ჩვენი ერაგნული სიმღერები, ნოტებზე დაწერილი.

არა ერთხელ მინახავს, რომ სწერდა ახალს რომელსაც სასიმღერო ნომერს ქართულ მელოდიებზე შეთხზულს. სხვაც ბევრი ნაწერი ჭქონდა, მომეტებულად ქართული სასალხო სიმღერებისა. ყველა მისა ნაშრომი ჩვენთვის ძვირფასს განძს შეადგენს, მაგრამ ვინ იცის, სად და ვის ხელშია, გამოუსადეგრად და უყურადღებოდ დატოვებული ჩვენთვის. ზოგი მისი ნაშრომით ისარგებლა ცნობილმა კომპოზიტორმა, მოსკოვის კონსერვატორიის დირექტორმა მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა, როდესაც სწერდა თავის სიუიტას „ოვერიასა“. თვითონაც ამბობს თავის ნაშრომში, რომ განსვ. ხ. ი. სავანელისგან მოცემულ მასალით ვისარგებლეო. ესენი დიდი მეგობრები იყვნენ ერთმანეთისა და არა ერთხელ მას უსაამოვნება მოსულია განსვენებულის გულისთვის აქაურ სამუსიკო სასწავლებლის მეთაურებთან, რაცა მ. მ. იპოლ.-ივანოვი დირექტორად იყო თბ. სიმუსიკო სასწავლებლისა.

*) ჩემთანვე შრომობდენ ნეტარ. დ. ყიფიანის მეუღლე და ა. ი. მიზანდარიო, იტყოდა ხოლმე განსვენებული ხ. ი. სავანელი.

ახლა რასა ვხედავთ: პირველი დამაარსებელი თბილისის სამუსიკო სასწავლებლისა, მისი მოთავე, იმდენი შრომისა და ჭირ-ვარამის გადამტანი, დაივიწყეს უმადურმა მისმა ამხანაგებმა, თანამოღვაწეებმა და აქამდისინ ერთი სტიპენდიატ-კი არ დაარსეს მის სახელზე სასწავლებელში, რომელსაც იმდენი ღვაწლი დასდო. თუ ალიხანოვისა, მიზანდარისა და სხვათა სახელობის სტიპენდია არის დაარსებული მუსიკალურ სკოლაში, რატომ განსვენებულ ხ. ი. სავანელის სახელზე აღარ უნდა იყვეს ერთი სტიპენდია მაინც? ვიღას ახსოვს ახლა განსვენებული! გავა ცოტაოდენი კიდევ დრო და გაიგებთ, რომ თბილისის სამუსიკო სასწავლებლის მოთავედ და დამაარსებლად უღირსად იქნება ცნობილი სხვა პირი და არა ხ. ი. სავანელი, მაგრამ, პატივცემულნო მკითხველნო, იცოდეთ და გწამდეთ, რომ მხოლოდ ხ. ი. სავანელია ამ სასწავლებლის მოთავე; მან პირველმა, შესაფერისი მუსიკალურ ცოდნით მომზადებულმა, შეიყვარა, გაიცნო და შეუდგა **1870** წ. ქართულ ეროვნულ სიმღერების და მელოდიების შესწავლას, საძირკველი ჩაუყარა თბ. მუსიკ. ხოლო სასწავლებელს, გარემოებამ ხელი არ შეუწყო და იძულებული ჰყო, მოშორებოდა საყვარელ სამშობლოს და მასთან ერთად დავკარგეთ მისი ნაშრომი და ღირსეული მამულიშვილი, ტკბილი, თავდაბალი და ლმობიერი ადამიანი.

მადლიერი ნამოწაფარი **ზ. ი. ჩხიკვაძე**

სათეატრო მიმოხილვა

დაბა ხაშური (ქართლი). 22 ივნისს ხაშურის ქართ. დრამ. წრის გამგეობამ, ვ. ჯაფარაშვილის სათეატრო შენობაში, გამართა მორიგი ქართული წარმოდგენა. დასდგეს „მეგობრობა“ ნ. შიუკაშვილისა.

დრამა „მეგობრობა“ შინაარსიანი, კარგის ენით დაწერილი, თანამედროვე პიესაა, მაგრამ პროვინციისათვის შეუფერებელი, როგორიც სჩანს ეს თვით შინარსიდან. და ავტორს არც პროვინციის სუსტი მოთამაშე სცენის მოყვარენი ჰყოლია მხედველობაში და აი ამიტომაც არის, რომ ამ დრამის დადგმა მეტად ძნელდება პატარა და მხატვრულად მოუწყობელ სოფლის სცენაზე.

მიუხედავათ ამისა, ხაშურის ქართ. დრამ. წრემ შესძლო ამ სიძნელის გადალახვა და პიესის დადგმა კიდეც მოახერხა.

გარეშე მაყურებელს, რომელსაც დიდ სცენაზე უხილავს ,,მეგობრობა'', არაფრად მოეწონებოდა ხაშურის პატარა სცენაზე მისი ნახვა, მარა თუ მხედველობაში მივიღებთ მოთამაშე ქალების კრიზისს, საჭირო რეკვიზიტისა და დეკორაციების სიღატაკეს, მაშინ თვით ეს გარეშე მაყურებელიც დაგვეთანხმება, რომ ამნაირი დრამის პროვინციაში დადგმა, როგორიც არის ხაშური და რა ელფერირაც აქ ჩაიარა, ყოვლად შეუძლებელია სხვაგან.

დრამის უმთავრეს გმირს არჩილ ლომაურს ასრულებდა ბ. ალ. კორძაია, რომელმაც შესაფერის დიქციით დაიცვა მომქმედ პირის სულისკვეთება და დაახლოვებით განასახიერა ცხოვრების ზღუდეს მოშორებული—თამარა ორდელის ქალის სილამაზით გატაცებული და საკუთარ ოჯახურ კერას მოწყვეტილი არჩილის როლი. ბ. კორძაიას მოხდენილ თამაშს ხელს უშლიდა მეტად უშნო გრიმი, რომელიც ნახშირით შეთხუპნულს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე სათნოიან-არჩილის სახეს.

განხორციელებული თამარა—არჩილის უკანონო ცოლი იყო ქ. მარიამ რატიანისა, რომელმაც ჩვეულებრივის დაკვირვებით და ნიჭიერად შეასრულა ნაკისრი როლი, ამ ქალმა კარგა ხანია დაიმსახურა ჩვენი საზოგადოების ღირსეული ყურადღება.

კატოს როლს ასრულებდა ქ. ან. გამრეკელისა და შედარებით კარგი იქნებოდა ამ როლში, რომ ჩვეულებრივს ,,ქალაქურს'' კილოს დაივიწყებდეს და ნამდვილ ქართულ სიტყვების გამოთქმა-დაბოლოვებას შეითვისებდეს. დრამატიული როლები საზოგადოდ თხოულობენ—მეტს ტემპერამენტს, სიფაქიზეს და აზროვნებას.

საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე სულ ახალგაზდა, 15 წლის სცენის მოყვარე ქალმა, ქეთო კალაძის-ასულმა: მშვენივრად შეასრულა ცქრიალა, დაობლებული და მამის მეგობრის, ექიმ გობიჩიძის მფარველობის ქვეშ მყოფი ელიკოს როლი. ქეთო კალაძე სულ ერთი წელიწადია რაც სასცენო ასპარეზზე გამოვიდა, არ მიაქცია ყურადღება ჩვენებურ ქალთა ფანტიკურს ტრადიციებს და გატაცებული ხელოვნების სიყვარულით, ტაძარში მირბის და პროვინციელ ქურუმთა შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს. საჭიროა ქეთოს რიგიანი მომზადება-განვითარება და პროვინცია იამაყებს ერთი ნიჭიერი მსახიობი ქალით. დაახლოვებით განასახიერა ქ. სონა ტატიშვილის-ასულმა, ფუქსავატი, ოჯახურ სიპატიოსნეს მოწყვეტილი და მოქეიფე ,,დონ-ჟუანთა'' მოტრფიალე ლიზას როლი, ჩათლახი და მუდამ ცოლის შიშქვეშ მყოფი ექვთიმეს მეუღლესი. კარგი ექიმი, კატოსა და ელიკოს მფარველი კოტე გობიჩიძე იქნებოდა გალ. ჯაფარიძე, რომ მეტი ინტელიგენტობა და სინაზე ჩაერთო როლისათვის, რომელიც უეჭველად თან უნდა ახლდეს ისეთს ექიმს, როგორიცა ჰყავს ავტორს პიესაში დასურათებული.

ტიპიური ობობა, გაუმაძღარი და შეუბრალებელი თავისი საწადელის აუსრულებლობის დროს, იყო

კატოს სახლის პატრონი ბალდიძეს როლში მოსე კვალიაშვილი და უფრო კარგი იქნებოდა, რომ მეტის გაიძვერობა და არშიყული კილო დაეცვა „უპატრონო“ მდგმურის, კატოს წინააღმდეგ.

ოცსალი იყო სცენა სასეირნო ბაღში, ზღვის პირას (3 მოქ.), სადაც ამა ქვეყნის ფუქსავატნიქეფობენ, რომელთაც, ვინ იცის, რამდენი პატიოსანი ოჯახის მყუდროება დაურღვევიათ, ამას არაფრად აგდებენ და ყოველგვარ გარყვნილ მოქმედებას განსაკუთრებულის სიამოვნება—სიამაყით იგონებენ. ესენი გახლდენ ,,სანდრო და მისი ამხანაგი აფიცერი, ვიქტორ კახიძე და სარდიონ უბადრულიძე'', რომელთა როლები შეასრულეს: ალ. ქუთათელაძემ, მიხ. რატიანმა, ბეს. ძნელაძემ და გრ. დევდარიანმა, დანარჩენი მოთამაშენი ანსამბლს ხელს უწყობდენ.

მოთამაშეთა ღირსება-ნაკლულევანებას სცენაზე მეტად ხელს უშლიდა სცენის სიღარიბე-მოუწყობლობა და მხატვრული მხრის შეუწყნარებლობა.

ბ. ჯაფარაშვილმა დიდი სიკეთე მიუძღვნა ხაშურის საზოგადოებას ამ სათეატრო შენობის აგებით, მაგრამ სამწუხაროთ შიგ მოწყობილი სცენა იმდენად პატარა, ვიწრო და უხერხულია, რომ მხატვრული მხრის რიგიანად დაცვა ყოვლად შეუძლებელია. სცენას სულ ერთი დაფხრეწილი დეკორაცია აქვს, რომელიც მდიდარიცა და ღარიბი ოთახიც არის და ასეთს პირობებში როგორ შეიძლება წრემ ორიგინალური, ანუ რიგიანი ნათარგმნი კლასიკური პიესები დასდგას ხოლმე!

ეს სათეატრო შენობა არის აშენებული დაბის შუაგულ ადგილას, განათებულია ელექტრონით, იტევს 300 კაცს მაყურებელს და თუ რომ წრის გამგეობა და შეგნებული საზოგადოება მოინდომებენ, ყველა მისი ნაკლის თავიდან აშორება მოსახერხებელია და როდესაც სცენას შესაფერი მოწყობილება ექმნება, მაშინ მხატვრული მხარეც დაცულ იქნება. ასეთს პიესებს, როგორიც არის „მეგობრობა'', უფრო კარგათ დასდგავენ და მაყურებელიც კმაყოფილი დაბრუნდება თეატრიდან. ,,მეგობრობას'' ხალხი ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა.

ნიკო გურული

ლანჩხუთის თეატრი. ლანჩხუთში სათეატრო საქმების გარშემო ყოველთვის ყოფილა და დღესაც არის კინკლაობა და ქიშპი ინტელიგენტთა შორის. კინკლაობენ უმიზეზოთ, ხშირად პირადი ინტერესებისა თუ თავმოყვარეობის გამოთაც და მით წარმოდგენების საქმეს აფერხებენ. ამ გარემოებამ საქმე იქამდინაც მიიყვანა, რომ დღეს აქ წარმოდგენები იშვიათად იმართება.

ლანჩხუთი წარმოდგენების დადგმისათვის საჭირო ინტელიგენტურ ძალებას არ არის მოკლებული: როგორც ქალი, ისე ვაჟი სცენის მოყვარე აქ ბევრია, არსებობს სცენის მოყვარეთა ჯგუფის გამგეობა და აქვთ დაქირავებული წარმოდგენის გასამართი შენობაც. ერთი სიტყვით, თუ კინკლაობას თავს დაანებებენ, შესაძლებელი იქნება წარმოდგენების სისტემატიურად მართვა.

აღსანიშნავია, რომ ხალხი აქეთ წარმოდგენებს დიდი თანაგრძნობით ეკიდება და ბევრიც ესწრება. ხალხის ასეთი თანაგრძნობა იმის თავმდებია, რომ ლანჩხუთის თეატრს შეუძლია შეინახოს ერთი ან ორი კარგი მსახიობი. თუმცა აქ სცენის მოყვარენი კარგია, მაგრამ სარეჟისოროდ მსახიობის მიწვევა მაინც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მსახიობის მოწვევას, შემდეგ წარმოდგენების დადგმასაც სისტემატიური ხასიათი მიეცემა.

ერთი ცუდი ზნე სჭირთ ადგილობრივ სცენის მოყვარეთ: ხშირად ისეთი პიესას ადგენენ, რომელიც პროვინციის სცენისათვის შეუფერებელია. მაგალითად განზრახვა აქვთ ამ მოკლე ხანში წარმოადგინონ: ,,სამეგრელოს მთავარი ლევან''. ეს იმას ნიშნავს, რომ პიესა დამახინჯდება.

ლანჩხუთის სცენის მოყვარენი კარგი სცენის მოყვარენი არიან, მაგრამ არც იმდენად კარგი, რომ ასეთი რთული პიესის გადაცემა შეიძლონ. სასურველია ისეთი პიესები წარმოადგინონ, რომლისათვისაც, როგორც ლანჩხუთის სცენა, ისე ლანჩხუთის სცენის მოყვარენი, შესაფერისი იქნებიან.

თეზეოსი

წვრილი ამბები

სამშობლოში

სამეცადინო პრაქტიკულ სტუდიას აფუძნებს თბ. დრ. საზ-ის გამგეობა ქართულ თეატრთან. სცენაზე მუშაობის მსურველთ შეუძლიანთ ამ თავითვე ჩაეწერონ თეატრის კანტორაში. სწავლა უფასო იქნება.

ვ. რ. ყიფიანმა, ,,სამეგრელოს მთავრის ლევანის'' ავტორმა, დასწერა ახალი ორიგინალური პიესა ,,ზილოთი'' ქრისტეანობის პირველი ხანიდან, რომელშიაც დასურათებულია მდაბიო ხალხის მოძრაობა, ძველი და ახალი სარწმუნოებათა შეტაკება, მაცხოვრის განსჯა-გვემა და სხ. როგორც სანდო პირთ დაგვარწმუნეს, პიესა ღრმა შინაარსიანია, თურმე, კარგის ქართულით დაწერილი და მხატვრული.

ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი კ. მესხის გარდაცვალების გამო დეპეშით გვატყობინებს: ,,ესეს არის დავბრუნდი საზღვარგარეთიდან და ვნახე კ. მესხის გარდაცვალების შესახები დეპეშა. ვერ ვპოებ სიტყვას გამოვსთქვა ურვა და მწუხარება ჩემი. ჩემის სიცოცხლის საუკეთესო წუთნი შეკავშირებულია დაუვიწყარ კოტეს მოგონებასთანა. ვიმეორებ, სიტყვას ვერ ვპოებ გამოვსთქვა, რასაც განვიცდი''.

მსახიობი შ. საფაროვი რუსეთს გაემგზავრა; გზად სცენის მოყვარეთა დახმარებით ქართულ წარმოდგენებს გამართავს.

კარდანახში ღღეს წარმოდგენას მართავს შალვა დადიანი.

ჩვენი თანამემამულე მომღერალი მიშელ დ'არიალი, მიხეილ ნანობაშვილი, საზაფხულოდ მიწვეულია ლიუშენს—პირინეის მთებში, ხოლო ზამთრის სეზონისთვის ვინცბურგს (ამერიკაში).

ქ. დუშეთის სცენის მოყვარეთა წრე ულრმეს მადლობას უძღვნის ბ-ნ ი. მხეიძესა დაგ. ქორქაძეს, პირველს პარიკებისა და კრეპეს, ხოლო მეორეს ტანთსაცმელების შეწირვისათვის.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ თავისი ხარჯით გაუწერა საჯევახოს წიგნთსაცავ-სამკითხველოს ევგენი კალანდაძემ.

ახალგაზდა მგოსანი ს. ფაშალიშვილი ივლისის ნახევარში მაჩხაანსა და სიღნაღში გამართავს ლიტერატურო საღამოებს. მონაწილეობას მიიღებენ. სხვათა შორის, აკაკი, ბაბილინა, კ. კოტეტიშვილი, თვით ს. ფაშალიშვილი და სხ.

დუშეთის სცენის მოყვარეთა წრე მომავალ კვირაში დასდგავს „პატარა კახს“ ადგილობრივ სასწავლებელის სასარგებლოდ.

ოზურგეთის ახალ თეატრში 4 ივლისს დანიშნული ქართველ მგოსანთა ერთი ჯგუფის (გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, გ. ტაბიძე, პ. იროთელი, ვ. ბაქრაძე, მ. წულუკიძე) ლიტერატურული საღამო ზოგიერთა პირთა დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

კინემატოგრაფის ლენტს ცეცხლი მოეკიდა ოზურგეთის ახალ თეატრში სურათების ჩვენების დროს, შაბათს, 5 ივლისს. შეშინებული ხალხი კარებს მიაწყდა. მსუბუქად დაშავდა რამდენიმე პირი. დაიწვა ორი განყოფილების ლენტი.

მსახიობი ვ. მატარაძე ავადმყოფობიდან განსაკურნებლად ბორჯომს გაემგზავრა.

სართიჭალაში (გარე-კახეთში) შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ამ თვის 19 სცენის ფონდის გასაძლიერებლად სდგავს „არსენა“-სა და „ტიმოთეს ლელვს“.

დ. ცხინვალში შესდგა ქართველ სცენის მოყვარეთა მუდმივი დასი.

დ. ცხინვალის სცენის მოყვარეთა წრემ, მ. კიაზოშვილის წინადადებით, გადასწყვიტა: „თანახმად სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის დადგენილებათა მე-6-ე მუხლისა—დრამატიულ კურსების ფონდის სასარგებლოდ გადაიდოს ყველა წარმოდგენიდან თ ი თ ო მ ა ნ ა თ ი“,

ახალი პიესა —,,შურის ძიება''—დასწერა ვანო გიგოშვილმა, პიესაში დასურათებულია გლეხკაცების ცხოვრება და შეიცავს ხუთ მოქმედებას.

სათეატრო დარბაზის დადგმა განუზრახავთ ბათუმის ქართული სკოლის შენობაზე, როგორც „ბათუმის გაზეთი“ გადმოგვცემს.

რუსთა შორის

მოსკოვის დრამატიული კურსები დაამთავრა ქართ. დრამ. საზ. გამგეობის თავმჯდომარედ ნამყოფ ვასილ სულხანიშვილის ასულმა, რომელიც მომავალი სეზონისათვის კიევშია მიწვეული. როგორც შევიტყეთ, განზრახვა აქვს ქართულ სცენაზე გადმოვიდეს.

კიევის დრამატიული კურსები გაათავა დგებუაძის ასულმა.

კონსერვატორიაში შემსვლელთა რიცხვი 1914—15 წლისთვის განსაზღვრულია. შემსვლელთ მკაცრად გამოსცდიან, განსაკუთრებით სათამაშოებსა და ფორტოპიანოზე დაკვრაში.

ბეჭდვითი სიტყვის წინაალმდეგ ბრძოლის ახალი ხერხი „გამოიგონა“ ოპერეტის გამგე ამირაგომ, რომელიც გროზნის ერთს მოწინავე გაზეთში რეცენზენტმა არა სასიამოვნოდ მოიხსენია. ამირაგომ პოლიციელთა დახმარებით შეისყიდა გაზეთის ნომრები, თეატრის წინ კოცონი ააგიზგიზა და ნაყიდი გაზეთები საჯაროდ დასწვა მთელის დასის თანადასწრებით.

„ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას“-ო ზედგამოჭრილია რუსის ზოგიერთ მსახიობზე, რომელთაც არარაიდან დაიწყეს და დღეს სახელმოხვეჭლად ითვლებიან თვისის შრომისა და ნიჭის მოწყალეობით: საოპერეტო მსახიობი შაროვი სიჭაბუკეში მებოსტნე იყო, ტენორი იუჟინი—ყირიმის ერთ-ერთი მონასტრის მორჩილი, ლოტბარი არბენინ-პავლოვი—ფოსტის მოხელე, მისი ძმა—იგივე, მონახოვი—პოლიციის მდივანი.

მოსკოვს. ა. სუმბათიშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა.

უცხოთა შორის

მსახიობი ირვინგისა და მისი მეუღლის უბედურად დაღუპვის გამო ლონდონის თეატრთა წარმომადგენლებმა ამ დღეებში საზეიმო სხდომა გამართეს ფასით, რომლის შემოსავალიც ღარიბ მსახიობთა შესაწევრად გიდასდეს.

ლ. ბ. იავორსკისა, რუსის გამოჩენილი მსახიობქალი, რომელმაც 21 ივნისს დაამთავრა სეზონი ლონდონში, ორი თვის განმავლობაში ზედიზედ მხოლოდ ერთ პიესას—„მარგარიტა გიტიე“-ს სთამაშობდა.

ინგლისის მთავარვეზირმა ასკვიტმა თ. ი. შალიაპინი, რომელიც ამჟამად ლონდონშია, მთავრობას წარუდგინა ორდენით დასაჯილდოებლად ხელოვნებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

შეცდომით დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის მე-17-ე ნომერში მაჭარაძის სურათი ურუშაძის მაგივრად და № 16-ში მ. გარიყულის ესკიზის სათაური „რას დამტიროდა?“, უნდა იყოს—,,ვის დასტიროდა?''.

ქართული სათეატრო მუზეუმისათვის შემოსწირეს: 1) **ალ. მირიანაშვილმა**—ა) „ლადო აღნიაშვილის ქართველ მომღერალთა პირველი გუნდი და მისი ისტორია 1885—1786 წ. (აღნიაშვილის საკუთარი რვეული) პირველი გუნდის „პირობითურთ“; ბ) „ქართული თეატრის საქმე“—გ. თუმანიშვილისა.

2) **კ. დ. ყიფიანმა**—სამი იშვიათი სურათი: ა) მ. პ. ბებუთაშვილისა (პირველი რეჟისორისა), ბ) ნ. ყიფიანისა და გ) ელენე ყიფიანისა;

3) **ნინო გოგნიაშვილმა**—1904 წ. ქართული საღამოს მხატვრული პროგრამა;

4) **ვ. საათაშვილმა**—აფიშები.

რედაქცია ულრმეს მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველთ. შემოწირული ნივთები დროებით დაცულ იქნება დრ. საზ. ძველთსაცავში.

რედ. „თ. და ც.“

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპეკტზე, სინემატოგრაფ »აპოლოს« გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში.

დღეს, კვირას, 13 ივლისს

სინემატოგრაფი, მუსიკა და ცეკვა

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან 25 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

ქალები და სტუდენტები შესვლის ფასს არ იხდიან

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილია ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობითათვის.

კლუბში გაიმართება ხოლმე **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები** და აგრეთვე **სახალხო სეირნობანი.**

აღსასრული ადამიანის ტანჯვისა

ჰონორეია (სუსუნატი)

4 წ. გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი **„რაპიდი“** გასასყიდად გამოვიდა სამკურნალო, საბჭოს ნებართვით № 1295, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავადმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ **„რაპიდ“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს, ამის თანა შემთხვევა არ არის;** ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა, ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩენად, **და „რაპიდ“-ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.**

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნატის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდათ ამ წამლობის უნაყოფობით და სამარისანად შეუძლიანთ ეჭვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამალსაც,—ამ შემთხვევაში მათს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რომ ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, იმის დასამტკიცებლად ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ **»რაპიდ-«ის** ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი., რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დავუბრუნებ.

ნიმუში ჩემის ხელწერილისა:

„მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამასა და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „რაპიდ“-ის ორი ფლაკონი, სუსუნატის წინააღმეგ, თავდები ვარ, რომ 20 დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერა.)

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრ განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები მაქვს, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვთავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ. თუ რომელიმე მთგანი დედანს არ ეთანხმება, **ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.**

[წერილი 11. მ. ხ. ბ-ნო დელამაურე! დიდათ გმადლობთ თქვენი სასწაულ მომქმედ „რაპიდისთვის“. განვიკურნე. ვურჩევ ჩემს ნაცნობებს მოგმართონ თქვენ. პატივისცემით ვ. მ. გ. ქ. როვნო.

წერილი 12. მ. ხ. ბ. დელამურე! მთელი ათი წელიწადი ვიტანჯებოდი ამ საშინელ სენით. თქვენმა უებარმა საშუალებამ განმკურნა 26 დღეში. ამდენი ხნის ტანჯვის შემდეგ მე არ მწამდა თუ იქნებოდა ისეთი საშუალება, რომელიც შესძლებდა ჩემს განკურნვას. მაგრამ მოვეტყუვდი, ყოფილა—ეს არის თქვენი რაპიდი. გიძღვნი გულწრფელ სალამს და დღეგრძელობას ტანჯული ხალხის საკეთილდღეოთ. პ. ლ. ტროიცი, 16 მარ. 1912 წ.

ფასდადებით და გაგზავნით 9 მ. ფასდადებით იგზავნება მხოლოდ 3. მან. გამოგზავნის შემდეგ.

გთხოვთ შეკვეთისა და ცნობებისათვის მიჰმართოთ:

თბილისში ჩემს წარმომადგენელს კ. აკოპიანს, ლორის-მელიქოვის ქ ,№16, 13, სახელმწ. ბანკის პირდაპირ, დილის 11—2 ს. და საღ. 5—7 ს. აგრეთვე ისყიდება ძმ. ტერტეროვების აფთიაქში, ნეკრასოვისა და რაზიეზდის ქუჩ. კუთხეში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

პატივისცემით **მ. დელამურე.**

მოსკოვი. ნეგლინის მისახ. № 14—2 სახ. 2.

(წ.—18)

ექ. ვასტანგ ღამბაშიძის

სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე

ქალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ღამბაშიძე

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

ახალი კლუბი

(საზაფხულო შენობა)

დღეს—კვირას 13 ივლის

საბავშვო საღამო და სინემატოგრაფი

დასაწყისი ნაშუადღევის 5 ს. დასაწყისი საღ. 9 ს.

ორშაბათს 14 ივლისს გაიმართება

კ ო ნ ც ე რ ტ ი

სიმფონიურ ორკესტრისა, ხელმძღვანელობს

ევა ბრაუნელი

იმღერებს **ივანე პეტრეს ძე სარაჯიშვილი.**

სამშაბათს, 15 ივლისს, გაიმართება

ოპერეტტა

ოთხშაბათს, 16 ივლისს გაიმართება **სიმფონიური კრება**

ი. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით

ხუთშაბათს, 17 ივლისს გაიმართება

ქართული წარმოდგენა.

პარასკევს, 18 ივლისს აჩვენებენ

სინემატოგრაფს

შაბათს, 19 ივლისს, გაიმართება **კ ო ნ ც ე რ ტ ი** სიმფონიურ ორკესტრისა

ი. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით

კვირას, 20 ივლისს გაიმართება

საბავშვო საღამო. აჩვენებენ სინემატოგრაფს.

სტამბა „სორაპანი“ Типографія „Сорапань“